კლაუს შვაბის „დიადი გადატვირთვის“ კვალდაკვალ

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში გაანალიზებულია კლაუს შვაბის წიგნის „დიადი გადატვირთვის“ იდეები თანამედროვე მსოფლიოს გარდაქმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2020 წლის მაისის ონლაინ-კონფერენციაზე კლაუს შვაბმა პრინც ჩარლზთან ერთად, ხმარებაში შემოიტანა ტერმინი The Great Reset (დიადი გადატვირთვა, დიადი გარდაქმნა). არსი შემდეგია: კაპიტალიზმის სამყარო ამჟამად განიცდის სერიოზულ კრიზისს და ის საჭიროებს გარდაქმნას. პრინცი ჩარლზი საუბრობს „პასუხისმგებლიან კაპიტალიზმზე“. კორონავირუსული პანდემია კი თავისი lockdown-ით იძლევა უნიკალურ შანსს გარდაქმნისთვის.

2020 წლის ივნისის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ვებგვერდზე გამოჩნდა გვერდი სახელწოდებით The Great Reset (დიადი გადატვირთვა). თემამ ფურორი მოახდინა. შვაბის პათოსს, რომელიც გაჟღერებულია „დიად გადატვირთვაში“ შეუერთდნენ ჯო ბაიდენი, ბორის ჯონსონი და ჟასტინ ტრიუდო.

გლობალიზმის ბანაკიდან იმ მხარდაჭერით, რომელსაც „დიადი გარდაქმნა“ იღებს, ეჭვგარეშეა, რომ ყბადაღებული „პანდემია“ - ეს არის „საოცარ ახალ სამყაროში“ გადასვლის ოპერაციის დასაწყისი. მოიძებნებიან კი ძალები, რომლებსაც უნარი ექნებათ წინააღმდეგობა გაუწიონ გლობალისტურ-გარდამქმნელებს?

საკვანძო სიტყვები: *ექსკლუზიური კაპიტალიზმი, ინკლუზიური კაპიტალიზმი, ციფრიზაცია, ტრანსჰუმანიზმი, მწვანე ენერგია, სტეიკჰოლდერთა კაპიტალიზმი.*

2020 წლის ბოლო თვეებში სულ უფრო მეტად ვარაუდობდნენ, რომ საზოგადოების მდგომარეობა, რომელსაც ინგლისურად lockdown-ს (საწარმოების დახურვა, ხალხის, ქვეყნების იზოლაცია) უწოდებენ, არასოდეს დასრულდებოდა. ამ კუთხით ეჭვები გააძლიერა პროფესორმა კლაუს შვაბმა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელმა და უცვლელმა ხელმძღვანელმა, რომელიც ყოველწლიურად (როგორც წესი, იანვარში) იმართება შვეიცარიის ქალაქ დავოსში [1]. თუმცა, 2021 წლის იანვარში დავოსში პირისპირ შეხვედრა არ ჩატარდა; ის გადაიდო 2021 წლის 13-16 მაისისთვის და ჩატარდა სინგაპურში, სადაც კლაუს შვაბმა მიიღო მილოცვები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით (რომელსაც თავდაპირველად მენეჯმენტის ევროპული ფორუმი ერქვა).

შვაბი არის ეკონომისტი და ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი. პარალელურად მრავალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი და მრავალი კომპანიის სამეურვეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭო წევრია [2].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2020 წლის მაისის ონლაინ-კონფერენციაზე კლაუს შვაბმა პრინც ჩარლზთან ერთად, ხმარებაში შემოიტანა ტერმინი The Great Reset (დიადი გადატვირთვა, დიადი გარდაქმნა). არსი შემდეგია: კაპიტალიზმის სამყარო ამჟამად განიცდის სერიოზულ კრიზისს და ის საჭიროებს გარდაქმნას. პრინცი ჩარლზი საუბრობს „პასუხისმგებლიან კაპიტალიზმზე“. კორონავირუსული პანდემია კი თავისი lockdown-ით იძლევა უნიკალურ შანსს გარდაქმნისთვის.

2020 წლის ივნისის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ვებგვერდზე გამოჩნდა გვერდი სახელწოდებით The Great Reset (დიადი გადატვირთვა). თემამ ფურორი მოახდინა. შვაბის პათოსს, რომელიც გაჟღერებულია „დიად გადატვირთვაში“ შეუერთდნენ ჯო ბაიდენი, ბორის ჯონსონი და ჟასტინ ტრიუდო. ტრიუდოს სიტყვით გამოსვლის შემდეგ,

კანადელმა კონსერვატორმა დეპუტატმა პიერ პუალიევრმა ნოემბერში შეიტანა პეტიცია თხოვნით „დიადი გადატვირთვის შეჩერების შესახებ"; პეტიციაზე 72 საათში 80000-ზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა [3].

„დიად გადატვირთვას" ოპონენტები გამოუჩნდნენ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და კონტინენტურ ევროპაში. დისკუსიაში კლაუს შვაბის, პრინც ჩარლზის, ჟასტინ ტრიუდოს, ჯო ბაიდენის, ბორის ჯონსონის და სხვათა მხარეს მონაწილეობენ სილიკონი ველის IT-გიგანტები - Amazon, Apple, Google, Facebook, Microsoft, რომლებიც მრავალმხრივ აძლიერებენ „დიადი გადატვირთვის" ჟღერადობას [4]. ნოემბერში The New York Times-მა The Great Reset-ის ოპონენტებს აღელვებულმა „შეთქმულების თეორიის" მომხრეები უწოდა და უცნაური რამ თქვა: შეთქმულები უფრო მეტად არიან The Great Reset-ის მომხრეები, თუმცა ისინი ღიად მოქმედებენ [5].

გვახსენდება ჰერბერტ უელსის 1928 წლის ნაშრომი „ღია შეთქმულება" (The Open Conspiracy). „დიადი გარდაქმნა" - ეს სწორედ ღია შეთქმულებაა [6].

კლაუს შვაბი 83 წლისაა, მაგრამ ის ძალიან აქტიურია. 2020 წლის ივლისში დღის სინათლე იხილა მისმა წიგნმა „Covid-19: The Great Reset", ტიერი მალერეტთან (Thierry Malleret) ერთად, რომელიც წარმოდგენილია, როგორც მემარცხენე ფუტუროლოგი [7]. 2020 წლის ბოლოსათვის წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა.

„დიადი გარდაქმნის" ძირითადი იდეებია:

პირველი, პანდემია COVID-19 - ესაა „შესაძლებლობების უნიკალური საშუალება". ამ საშუალებით უნდა წარიმართოს კაცობრიობა მომავალში. წარსულის არავითარი დაბრუნება! „ბევრი სვამს კითხვას: როდის დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას? პასუხი მოკლეა: არასოდეს. ჩვენი ისტორია ორ ნაწილად გაიყოფა: კორონავირუსამდელი და კორონავირუსის შემდგომი".

მეორე, „ნათელი მომავალი" - ეს არის სამყარო, სადაც წაიშლება განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, ხოლო დროთა განმავლობაში მოისპობა სახელმწიფო საზღვრები. წარმოიშობა ერთიანი პლანეტარული სახელმწიფო ერთიანი მთავრობით: „მსოფლიო მთავრობაზე საკითხი ცენტრალური მნიშვნელობისაა". შემდგომ შვაბი წერს: „Lockdown-ის შემოღებით, ჩვენი სიყვარული ახლობლების მიმართ იზრდება, ჩვენ უფრო ვაფასებთ მათ, ვინც გვიყვარს - ოჯახის წევრები და მეგობრები. მაგრამ უარყოფითი მხარეა ის, რომ ეს იწვევს პატრიოტული და ეროვნული გრძნობების ზრდას ბნელ რელიგიურ მრწამსთან და ეთნიკურ პრეფერენციებთან ერთად. და ეს ტოქსიკური ნარევი ჩვენში ყველაზე ცუდს ავლენს...". შვაბი განმარტავს, რომ ომი გამოცხადდება „ბნელი რელიგიური მრწამსისა და ეთნიკური პრეფერენციების წინააღმდეგ".

მესამე, „საოცარი ახალი სამყაროს" ეკონომიკა ცენტრალიზებულად უნდა იმართებოდეს გიგანტური მონოპოლიების მიერ. გაქრება კერძო საკუთრება, მის ადგილს დაიკავებს „გამოყენების ეკონომიკა", „მონაწილეობის ეკონომიკა". შვაბი და სხვები განსაკუთრებით გაურბიან „სოციალიზმის" ცნებას. ნაღდი ფული არ იქნება, ყველგან ციფრული ვალუტები შემოვა.

მეოთხე, მოხდება გადასვლა „მწვანე" ენერგიაზე, ის გამოდევნის ნახშირწყალბადის ენერგიას. დაწესდება შეზღუდვები წყლის, ელექტროენერგიის, ზოგიერთი „ეკოლოგიურად საშიში" პროდუქტის (მაგალითად, ხორცის) ან სამრეწველო ნაწარმის (მაგალითად, ავტომობილების) მოხმარებაზე. გარემოზე ზეწოლის შემცირების ყველაზე რადიკალური საშუალება იქნება დემოგრაფიული ზრდის შენელება ან სულაც მოსახლეობის შემცირება: „რაც უფრო დიდია დემოგრაფიული ზრდა ... მით უფრო მაღალია ახალი პანდემიის რისკი".

მეხუთე, რობოტიზაცია დასრულდება ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. წიგნში „დიადი გარდაქმნა" ბევრჯერაა ნათქვამი სამუშაო ადგილების

მკვეთრი შემცირების შესახებ: „2035 წლამდე შესაძლებელია მოხდეს რესტორნების სამუშაო ადგილების 86%-ის, ვაჭრობაში სამუშაო ადგილეების 75%-ისა და გასართობი ინდუსტრიების 59%-ის ავტომატიზაცია“. „Lockdown-ისა და შემდგომი სოციალური დისტანცირების ღონისძიებების გამო რესტორნების 75% შეიძლება გაკოტრდეს“. „მრეწველობის არც ერთი დარგი, არც ერთი საწარმო არ დარჩება ხელშეუხებელი“. ივარაუდება უპირობო საბაზისო შემოსავლის (Unconditional Basic Income - UBI) შემოღება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ჩაანაცვლებენ რობოტები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი დაადასტურებს იმას, რომ ის აცრილია.

მეექვსე, გაგრძელდება ეკონომიკისა და საზოგადოების ყველა სფეროს ციფრიზაცია. შეიქმნება ადამიანთა ქცევისა და გადაადგილების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა, მათ შორის, სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებით. ციტატა: „პანდემიის დასრულების მიზნით, მსოფლიოში უნდა შეიქმნას ციფრული სათვალთვალო ქსელი“.

მეშვიდე, ჯანდაცვის ახალი მოდელი გაითვალისწინებს რეგულარულ ტესტირებას, სავალდებულო ვაქცინაციას, სანიტარული პასპორტის გაცემას, შეზღუდვებისა და სასჯელის დაწესებას იმ პირთათვის, რომლებიც თავს არიდებენ სამედიცინო დისციპლინის წესების შესრულებას.

მერვე, ტრანსჰუმანიზმის სულისკვეთებით მოხდება ადამიანის „სრულყოფა“.

მაშასადამე, გაცხადებულია ღია შეთქმულების მიზნები. გლობალიზმის ბანაკიდან იმ მხარდაჭერით, რომელსაც „დიადი გარდაქმნა“ იღებს, ეჭვგარეშეა, რომ ყბადაღებული „პანდემია“ - ეს არის „საოცარ ახალ სამყაროში“ გადასვლის ოპერაციის დასაწყისი. მოიძებნებიან კი ძალები, რომლებსაც უნარი ექნებათ წინააღმდეგობა გაუწიონ გლობალისტურ-გარდამქმნელებს?

„დიადი გარდაქმნის“ ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა Inclusive Capitalism (ინკლუზიური კაპიტალიზმის), ანუ, კაპიტალიზმი, რომელიც „ყველასათვის ღიაა“, „ყოვლისმომცველია“, „ყოვლისშემცველია“. ლიტერატურაში შევხვდებით კაპიტალიზმის განსაზღვრების კოლოსალურ რაოდენობას, მაგრამ „ინკლუზიური კაპიტალიზმი“ - სიახლეა.

როგორც ჩანს, 2008-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა საბოლოოდ დაარწმუნა მსოფლიო კულისებსმიღმა არსებული ძალები იმაში, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის არსებულმა მოდელმა სრულად ამოწურა საკუთარი თავი. „მსოფლიო კულუარული ძალების“ ქვეშ, ძირითადად, მოიაზრებიან აშშ-ის ფედ-ის მთავარი აქციონერები, რომლებიც ისწრაფვიან მსოფლიო ბატონ-პატრონობისთვის.

შვაბს „ინკლუზიური კაპიტალიზმის“ არავითარი მკაფიო განმარტებები არ აქვს მოცემული. „ყოვლისმომცველ“ კაპიტალიზმზე მსჯელობისას ზოგიერთებს ჩამოუყალიბდათ შეხედულება, რომ ეს არის კაპიტალიზმი ღარიბებისა და ღატაკების გარეშე. სხვები კი აცხადებენ, რომ ასეთ მოდელში ყველა ჩაერთვება ეკონომიკურ საქმიანობაში. არიან ისეთებიც, რომლებიც საუბრობენ მომავალი თაობების წინაშე „ყოვლისმომცველი“ კაპიტალიზმის პასუხისმგებლობაზე.

მაგრამ, ყველაფერი ეს სიტყვიერი ეკვილიბრისტიკაა, ან სულაც - სიცრუე და იაფი პროპაგანდა. მაგალითად, მოვიყვანოთ მაღალი დონის კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ლონდონში 2014 წლის მაისში, რომელსაც ესწრებოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის იმდროინდელი აღმასრულებელი დირექტორი ქრისტინ ლაგარდი, მისი სამეფო უდიდებულესობა პრინცი ჩარლზი, ლედი ლინ დე როტშილდი, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ლონდონის ქალაქის ლორდი მერი ფიონე ვულფი. შეხვედრის მთავარი ინიციატორი იყო ლინ დე როტშილდი. ცოტა ხნით ადრე, სწორედ ის გამოვიდა Inclusive Capitalism-ის ინიციატივით (ასე რომ, ეს პროფესორ შვაბს არ მოუგონია). ამ შეხვედრეზე განსაკუთრებით საინტერესო იყო ქრისტინ ლაგარდის გამოსვლა.

პირველი, მან დაადასტურა, რომ იდეის ავტორობა ეკუთვნის ქალბატონ როტშილდს: „ჩვენ ყველანი შევიკრიბეთ აქ, რათა განვიხილოთ „ყოვლისმომცველი კაპიტალიზმი“, რომელიც ლინის იდეაა!“.

მეორე, ლაგარდი მივიდა მარქსამდე და დაასკვნა, რომ მისი თვალსაზრისით, „ყოვლისმომცველი კაპიტალიზმი“ - სიტყვათა შეთანხმებაა, რომელიც შეიცავს შეუთავსებელ ცნებას: „სიტყვა „კაპიტალიზმის“ ოფიციალური დამკვიდრება ხდება XIX საუკუნეში. ინდუსტრიული რევოლუციით მოვიდა კარლ მარქსი, რომელიც ძირითადად ყურადღებას უთმობდა წარმოების საშუალებების მითვისებას და მან იწინასწარმეტყველა, რომ კაპიტალიზმი, თავისი ექსცესებით საკუთარი განადგურების თესლს ატარებს - კაპიტალის დაგროვება რამდენიმე ადამიანის ხელში, რომლებიც ძირითადად მიისწრაფვიან მოგების დაგროვებისკენ, სერიოზულ კონფლიქტებამდე და ციკლურ კრიზისებამდე მიდის. ასე რომ, ”ინკლუზიური კაპიტალიზმი” ოქსიმორონია?“

მარქსის მიხედვით, რა თქმა უნდა, კაპიტალიზმი წარმოადგენს არა „ინკლუზიურს, არამედ, პირიქით, „ექსკლუზიურს“. ის საზოგადოებრივი წარმოებიდან დევნის „ზედმეტ“ ადამიანებს, ტოვებს რა მათ სიღარიბესა და სიღატაკეში. ის გამორიცხავს მილიონობით ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი ფორმიდან. მარქსმა ამას კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი უწოდა: კაპიტალისტური განვითარების მსვლელობისას ადგილი აქვს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პოლარიზაციას; ერთ პოლუსზე - ერთი მუჭა მდიდრები და ზემდიდრები არიან, მეორეზე - საზოგადოების უდიდესი ნაწილი ღარიბებისა და ღატაკების სახით.

მოკლედ, ქრისტინ ლაგარდიც, პრინცი ჩარლზიც და ლედი ლინ დე როტშილდიც შეთანხმდნენ იმაში, რომ მარქსი მართალი იყო. თუმცა, როგორც მათ აღნიშნეს, ის აღწერდა კაპიტალიზმს, რომელიც 150-200 წლის წინათ არსებობდა. დღეს კი კაპიტალიზმი ექსკლუზიურიდან შეიძლება და უნდა გადაიქცეს კიდეც ინკლუზიურ, ყოვლისმომცველ კაპიტალიზმად.

მეშვიდე წელი გადის ლონდონის იმ შეხვედრიდან. გახდა თუ არა გლობალური კაპიტალიზმი თუნდაც მცირედით უფრო ინკლუზიური? არა! იგი ვითარდება მარქსის კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის შესაბამისად: მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი - უფრო ღარიბდებიან. 2020 წლის იანვარში, დავოსში 50-ე შეხვედრის წინ, არასამთავრობო ორგანიზაციამ Oxfam გამოაქვეყნა ანგარიში მსოფლიოში სიმდიდრის განაწილების შესახებ. ამ ანგარიშის მონაცემების თანახმად, პლანეტაზე მცხოვრები 2153 მილიარდერის ქონება აჭარბებს ყველა ფულადი საშუალებების ჯამს, რომელსაც ფლობს დედამიწის მოსახლეობის 60 პროცენტი. კომენტარები ზედმეტია [8].

თუ გავაანალიზებთ რა თქვა შვაბმა კაპიტალიზმის „ახალი“ მოდელის შესახებ, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი დაიყვანება მოგების მაქსიმიზაციის პრინციპზე უარის თქმაზე. ისინი ამბობენ, რომ ბიზნესმა უნდა გააცნობიეროს, რომ კაპიტალის ზრდის ეპოქა იწურება, მრავალ დარგსა თუ ბაზარზე საშუალო მოგება ნულისკენ მიისწრაფვის. სხვათა შორის, იგივე ჯორჯ სოროსი დაახლოებით ოცი წლის წინ ხუმრობდა: „მუსიკა დასრულდა, ისინი კი ისევ ცეკვავენ“. უკეთესია გავიხსენოთ კარლ მარქსი, რომელმაც საუკუნენახევრის წინ ჩამოაყალიბა კანონი მოგების მაჩვენებლის შემცირების ტენდენციის შესახებ და თქვა, რომ კაპიტალის ტექნიკური სტრუქტურის ზრდის (მანქანებით სამუშაო ძალის გამოდევნის) შედეგად, მოგების მაჩვენებელი შეიძლება ნულამდე დაეცეს.

მაშასადამე, შვაბმა, მადამ ლინ დე როტშილდის მიბაძვით, გადაწყვიტა გადაარჩინოს კაპიტალიზმი მისი „ინკლუზიურად“ გამოცხადებით. პირველი, მოგება არ უნდა იყოს წარმატებული ბიზნესის მიზანი და მთავარი ორიენტირი. მეორე, კომპანიებმა უნდა გადადგან ნაბიჯი მომხმარებლებისკენ ფასების შემცირებით და სიღარიბისა და სიღატაკის თანდა-

თანობითი აღმოფხვრით. მესამე, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ჩვეულებრივ მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ კორპორაციები ეკუთვნით აქციონერებს.

აქ უნდა ვახსენოთ ამერიკული ბიზნესის მრგვალი მაგიდა (Business Round-table, BRT), რომელიც წარმოადგენს აშშ-ის მრავალ უმსხვილეს კომპანიას [9]. BRT-ის მმართველ ორგანოებში შედიან ჯეფ ბეზოსი Amazon-იდან, ტიმ კუკი Apple-დან, მერი ბარა General Motors-იდან და სხვა ცნობილი ფიგურები, რომლებიც ამერიკისა და მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს შორის არიან. შარშან BRT-მა განაცხადა, რომ აქციონერების უპირატესობის პრინციპი მოძველებულია და ვალდებულებები უნდა გავრცელდეს ყველა დაინტერესებულ მხარეზე (კომპანიის თანამშრომლებზე, მომწოდებლებზე და კონტრაქტორებზე, პროდუქტის მომხმარებლებზე, მთავრობაზე). ბიზნესის მრგვალმა მაგიდამ მიზნად დაისახა ხელი შეუწყოს „ეკონომიკის შექმნას, რომელიც ემსახურება ყველა ამერიკელს", და არა მხოლოდ აქციების მფლობელებს.

კლაუს შვაბი ამას მიესალმება და დასძენს: „კომპანიის მიზანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა კოლაბორაციული და მდგრადი ღირებულების შექმნის პროცესში". ანუ, ყველა კომპანია უნდა გახდეს „ინკლუზიური" და ინკლუზიური კაპიტალიზმი არ უნდა ააშენოს სახელმწიფომ, არამედ ასეთმა კომპანიებმა. მეორე მხრივ, სახელმწიფოს თანდათანობითი „შთანთქმა" (be included) უნდა მოხდეს ინკლუზიური კომპანიების მიერ, მაგრამ არ უნდა გაქრეს, როგორც ეს კლასიკურ მარქსიზმშია, არამედ უნდა მოხდეს მისი პრივატიზაცია უმსხვილესი კორპორაციების მიერ.

რამდენიმე საუკუნეა კაპიტალიზმი არსებობს მსოფლიოში, რომლის წიაღშიც სუფევს პრინციპი Homo homini lupus est (ადამიანი ადამიანის მიმართ მგელია). თაობების მანძილზე კაპიტალიზმის მგლები იზრდებიან და იზრდებიან, რომლებიც ნთქავენ სუსტებს. ახლა კი მგლებმა განაცხადეს, რომ ამიერიდან ისინი მზად არიან გახდნენ ვეგეტარიანელები?

სინამდვილეში, ყბადაღებული ინკლუზიური კაპიტალიზმი - ესაა გლობალური ელიტის გეგმები სამომავლო გზაზე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პოსტ-კაპიტალიზმი, ახალი ფეოდალიზმი და ახალი მონათმფლობელური წყობილება. გლობალური ელიტა მზადაა უარი თქვას მოგების მისწრაფებაზე, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ დათმობს ძალაუფლებას. „დიადი გარდაქმნა" ჩაფიქრებულია ამ ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით.

ფულის ბატონ-პატრონები აპირებენ თავიანთი კაპიტალის აბსოლუტურ მსოფლიო ბატონობაში კონვერტირებას.

„დიად გადატვირთვაზე" საუბრის დასასრულს უნდა შევეხოთ ისეთ თემას, როგორიცაა „სტეიკჰოლდერთა კაპიტალიზმი". ეს იგივე „ინკლუზიური", ანუ სოციალურად ორიენტირებული კაპიტალიზმია, რომელიც თითქოს ყველას უზრუნველყოფს სამუშაოთი, განვითარდება მოგებისა და კრიზისების გარეშე, მომავალ თაობაზე ზრუნვით. ე.ი., კაპიტალიზმი, რომელიც სრულად უარყოფს საკუთარ თავს.

სტეიკჰოლდერი (stakeholder) - ეს არის მომავლის კომპანია, რომელშიც უნდა გადაიზარდოს თანამედროვე კომპანია, რომელიც ეკუთვნის აქციონერებს. ყველა აქციონერს კი ერთი ინტერესი ამოძრავებს - მაქსიმალური მოგების მიღება. სააქციო კომპანია წარმოადგენს კლასიკური კაპიტალიზმის საფუძველს, რომლისთვისაც სრულდება კარლ მარქსის კაპიტალის პირველი ტომის სიტყვები:

„კაპიტალი ... ერიდება ხმაურს და ბოროტად გამოყენებას და აქვს შიშისმომგვრელი ხასიათი". ეს მართალია, მაგრამ ეს არ არის სრული სიმართლე. კაპიტალს ეშინია მოგების არარსებობის ან ძალიან მცირე მოგების, როგორც ბუნებას ეშინია სიცარიელის. მას შემდეგ, რაც საკმარისი მოგება იარსებებს, კაპიტალი თამამი ხდება. უზრუნველყავით 10 პროცენტი და კაპიტალი ეთანხმება ნებისმიერ გამოყენებას, 20 პროცენტის შემთხვევაში ხდება მისი გამოცოცხლება, 50 პროცენტის შემთხვევაში ის პოზიტიურად მზადაა თავის

გასატეხად, 100 პროცენტის დროს ის ფეხქვეშ თელავს ადამიანის ყველა კანონს, 300 პროცენტის დროს კი არ არსებობს ისეთი დანაშაული, რომელზეც იგი არ იყოს წამსვლელი, თუნდაც სახრჩობელას შიშის ქვეშაც კი. მტკიცებულება: კონტრაბანდა და მონებით ვაჭრობაა“.

როგორც კლაუს შვაბი ამბობს, ის ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ დაავადდა კაპიტალიზმის რადიკალური რეფორმირების იდეით. მაშინ, 1970-იანი წლების დასაწყისში, თუ დავუჯერებთ შვაბს, მან გადაწყვიტა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შექმნა კაპიტალიზმის რეფორმირებისათვის კომპანიების ახალი ტიპის საფუძველზე, რომლებიც აქციონერული საზოგადოებიდან უნდა გადაიქცნენ სტეიკჰოლდერებად. ახალ მოდელს უნდა ეწოდოს stakeholders capitalism, ანუ კაპიტალიზმი ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

აშშ-ში 1970-იან წლებში ამგვარ კაპიტალიზმზე მსჯელობდა იმდროისთვის ცნობილი ავტორიტეტი მენეჯმენტის სფეროში რასელ ლინკოლნ აკოფი. ფართო აკადემიურ წრეებში „სტეიკჰოლდერთა კონცეფცია“ გავრცელდა XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში, როცა გამოჩნდა საქმიანი ადმინისტრირების ამერიკელი პროფესორის, ედვარდ ფრიმენის ნაშრომი „სტრატეგიული მენეჯმენტი: დაინტერესებულ მხარეთა კონცეფცია“. ამჟამად „სტეიკჰოლდერთა კონცეფციის“ ყველაზე ავტორიტეტულ მომხრედ ითვლება ჯოზეფ სტიგლიცი, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი.

კლაუს შვაბი და მისი თანამოაზრეები ხსნიან, რომ ახალი ტიპის კომპანიამ უარი უნდა თქვას მოგების მაქსიმიზაციაზე და გაითვალისწინოს ყველა მხარის ინტერესები; აქციონერების გარდა, ესაა კომპანიის მუშაკები, კონტრაქტორები და მომწოდებლები, მყიდველები და დამკვეთები. ჩვენ ასევე უნდა გვახსოვდეს მომავალი თაობები, მათ უნდა დავუტოვოთ ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ამოწურულა.

2020 წლის იანვარში დავოსში ჩატარებულ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 50-ე სამიტზე განხილულ იქნა თემები: „დაინტერესებულ მხარეთა კაპიტალიზმი: როგორ უზრუნველვყოთ გრძელვადიანი ინვესტირება“; „დაინტერესებულ მხარეთა კაპიტალიზმი: რა მოითხოვება კორპორაციული ლიდერობიდან?“. ერთდროულად მიღებულ იქნა „დავოსის მანიფესტის“ ახალი რედაქცია (მისი პირველი ვერსია გამოჩნდა 1973 წელს), სადაც ჩაიწერა სიტყვები დაინტერესებულ მხარეთა კაპიტალიზმზე, როგორც თანამედროვე ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების გადაჭრის საშუალება: „კომპანიის მიზანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა ღირებულების შექმნის ერთობლივ და მდგრად პროცესში. მისი შექმნით კომპანია ემსახურება არა მხოლოდ თავისი აქციონერების, არამედ ყველა დაინტერესებული მხარის - თანამშრომლების, მომხმარებლების, მომწოდებლების, ადგილობრივი თემებისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს“.

ერთ-ერთი იმათ შორის, რომელმაც განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს დავოსის ბოლო ფორუმზე შვაბის იდეას დაინტერესებულ მხარეთა კაპიტალიზმზე, იყო მარკ ბენიოფი, მსხვილი ამერიკული IT-კორპორაციის Salesforce-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი (2019 წელს მან მიიღო წლიური შემოსავალი 13,3 მლრდ დოლარის ოდენობით; მისმა კაპიტალიზაციამ დაახლოებით 124 მლრდ დოლარი შეადგინა). კორპორაციის ხელმძღვანელმა რიხიანად განაცხადა: „კაპიტალიზმი, როგორც ვიცით, მკვდარია. მხოლოდ აქციონერებისათვის მაქსიმალური მოგების მიღების შეპყრობილობამ გამოიწვია კლიმატში საგანგებო სიტუაცია ...“ მაგრამ, თუ 172 წლის წინათ კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კ. მარქსი და ფ. ენგელსი გვთავაზობდნენ კაპიტალიზმის ალტერნატივად კომუნიზმს, მარკ ბენიოფი თვლის, რომ კაცობრიობას გადაარჩენს „ახალი“ კაპიტალიზმი, ანუ სტეიკჰოლდერთა კაპიტალიზმი:

„ჩვენ ცოცხალი დასტური ვართ იმისა, რომ დაინტერესებული მხარეების კაპიტალიზმი მუშაობს ... ეს არის ცვლილების ყველაზე დიდი პლატფორმა ... მადლობელი ვარ პრო-

ფესორ შვაბისა იმისთვის, რომ მან ბიზნესის ლიდერები დაინტერესებული მხარეების კაპიტალიზმის ხედვამდე მიიყვანა ...“

კლაუს შვაბი, მარკ ბენიოფი და სხვები თავიანთ მოწოდებას მიმართავენ მსხვილი და უმსხვილესი ბიზნესის მისამართით. 14 ოქტომბერს ჩატარდა ვირტუალური სამიტი Forbes JUST 100 სახელწოდებით Companies Leading the New Era of Responsible Capitalism (კომპანიები, რომლებსაც მივყავართ პასუხისმგებლიანი კაპიტალიზმის ახალ ერაში) [10]. მსხვილი კორპორაციის ტოპ-მენეჯერებმა კვლავ განიხილეს საკითხები დაინტერესებულ მხარეთა კაპიტალიზმზე გადასვლაზე. განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ წამყვანი ამერიკული IT-კორპორაციები (Microsoft, Apple, Intel, Alphabet, NVIDIA, Salesforce.com, Cisco Systems, Adobe, Facebook). შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ სილიკონი ველი ისწრაფვის მსოფლიო მასშტაბით ბიზნესის რეფორმირების პროცესი დაიმორჩილოს. რეზონანსული იყო ყველაზე ძვირადღირებული (საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებლით) ამერიკული კორპორაციის Microsoft-ის გენერალური დირექტორის სატი ნადელის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ ბიზნესის წარმატება უნდა შეფასდეს სამუშაო ადგილების რაოდენობით, რომელსაც ის ქმნის, თანამშრომლების შემოსავლებისა და ცხოვრების დონით და იმ მოგებით, რომელიც მას მოაქვს არა მარტო თავისთვის, არამედ თავისი მომწოდებლებისთვისაც.

მასმედიაში მსგავსი განცხადებების აღქმა ძალიან განსხვავებულია. ზოგი მიიჩნევს, რომ აქციონერების კომპანიების დაინტერესებული მხარეების კომპანიებად გადაქცევის იდეები განხორციელდება და ამჟამინდელი თაობა აღმოჩნდება „ნათელ მომავალში“. სხვები პროფესორ კლაუს შვაბს უტოპისტად თვლიან, ხოლო მის იდეებს განუხორციელებელს უწოდებენ. მემარცხენე პოლიტიკოსები კაპიტალიზმის ჩამოყალიბების გეგმებს მოგების ძიების გარეშე ადარებენ მგლების ხელახლა აღზრდის მცდელობას, ასწავლონ მათ ბალახის ჭამა.

მიმდინარეობს ცხარე კამათი. ზოგიერთნი ეძებენ და თითქოს პოულობენ მაგალითებს იმისა, რომ ბიზნესი ნამდვილად ხდება „სოციალურად პასუხისმგებელი“. მაგალითად, 2019 წელს მეწარმეთა ამერიკულმა ასოციაციამ „ბიზნესის მრგვალი მაგიდა“ (Business Roundtable, BRT) შეცვალა 1997 წლის თავისი დეკლარაცია და მასში შეიტანა დებულება კომპანიების მხრიდან დაინტერესებული მხარეების წინაშე ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის შესახებ. 200 მსხვილი და უმსხვილესი ამერიკული კორპორაციის ხელმძღვანელებმა (მათ შორის, Johnson & Johnson, JPMorgan Chase & Co., Ford Motors) პირობა დადეს უხელმძღვანელონ თავიანთ კომპანიებს „ყველა დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ“.

ამ საზეიმო დაპირების შემდეგ წელიწადი გავიდა, მაგრამ „ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინების“ არავითარი მაგალითი (აქციონერთა გამოკლებით) არ გვინახავს. 2020 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ანგარიში „COVID-19 and Inequality: A Test of Corporate Purpose“ (COVID-19 და უთანაბრობა: კორპორატიული მიზნების ტესტი) [11]. კვლევა ჩაატარა ორგანიზაციამ KKS Advisors, Ford Foundation-ის მხარდაჭერით. მოხსენებიდან გამომდინარეობს, რომ ამერიკულმა კომპანიებმა, რომლებმაც 2019 წელს ხელი მოაწერეს Business Roundtable ახალ დეკლარაციას, „2020 წლის კრიზისის დროს უკეთესი შედეგები არ აჩვენეს, ვიდრე მათმა კოლეგებმა, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს ხელშეკრულებას“. მხოლოდ მცირედმა მათგანმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას, ის წარუდგინეს თავიანთ კომპანიებს დასამტკიცებლად. ზოგიერთი მეცნიერები თვლიან: დაპირებები, რომლებიც დაინტერესებული მხარეების კაპიტალიზმის მომხრეებმა გასცეს, წარმოადგენს პიარის ბანალურ ხრიკს. მკვლევარებმა აღნიშნეს აქციონერებისგან აქციების გამოსყიდვის პრაქტიკის გაგრძელება, პოლიტიკოსების მოსყიდვა, გადასახადების თავიდან აცილება და გარემოს დაბინძურება.

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ „ყველა დაინტერესებული მხარის კაპიტალიზმის“ გარშემო არსებული აურზაური წარმოადგენს შირმას, რომელიც ფარავს „საოცარი ახალი სამყაროს“ მცხოვრებთა 99%-ისათვის გლობალური ტოტალიტარული რეჟიმის ციფრული საკონცენტრაციო ბანაკის შექმნის გეგმებს. და ამ სამყაროში თანასწორობა იქნება მონების თანასწორობა [12].

კლაუს შვაბს არ მოსწონს ეკონომიკური ლიბერალიზმი, მაგრამ მის შემცვლელად მზადდება უმსხვილესი კორპორაციების „რკინის წესრიგი“. მცირე და საშუალო ბიზნესი ახალ სამყაროში არ იქნება, „პანდემია“ ჩვენს თვალწინ ასუფთავებს მას და ეს პროცესი შეიძლება დასრულდეს უკვე 2022 წლისათვის.

კლაუს შვაბი საუბრობს კორპორაციის პასუხისმგებლობის გაფართოვებაზე. ის ასეც იქნება. კორპორაციებს მხრებზე დააწვებათ ის მოვალეობები და უფლებამოსილებები, რომლებიც ადრე ეკუთვნოდა სახელმწიფოს. ეროვნული სახელმწიფოები პრივატიზირებული იქნება მსხვილი კომპანიების მიერ. კორპორაციების მაღლა იქნება მხოლოდ მსოფლიო მთავრობა.

ლიტერატურა:

1. https://www.fondsk.ru/news/2020/01/21/davos-kak-ritual-49941.html
2. https://www.fondsk.ru/news/2018/06/09/bilderbergskij-klub-mirovoe-pravitelstvo-ili-anahronizm-46274.html
3. https://www.ledevoir.com/politique/canada/590193/une-theorie-du-complot-s-infiltre-dans-les-rangs-des-conservateurs
4. https://www.fondsk.ru/news/2020/08/07/kto-v-amerike-hozjain-prezident-ili-kompanii-silikonovoj-doliny-51566.html
5. https://www.nytimes.com/live/2020/11/17/world/covid-19-coronavirus#the-baseless-great-reset-conspiracy-theory-rises-again
6. https://www.fondsk.ru/news/2020/09/07/100-let-nazad-voznikla-organizacija-otkrytogo-zagovora-chatham-house-51783.html
7. https://straight2point.info/wp-content/uploads/2020/08/COVID-19_-The-Great-Reset-Klaus-Schwab.pdf
8. https://www.oxfam.org/en/press-releases/worlds-billionaires-have-more-wealth-46-billion-people
9. https://www.businessroundtable.org/
10. https://www.forbes.com/just-companies/#1187d3c82bf0
11. https://corpgov.law.harvard.edu/2020/10/24/covid-19-and-inequality-a-test-of-corporate-purpose/
12. https://www.fondsk.ru/news/2020/12/25/finintern-i-big-pharma-gotovjat-ljudjam-cifrovye-oshejniki-52549.html

In the Footsteps of Klaus Schwab's "Great Reset"

Malkhaz Chikobava
PhD in Economics
Associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article analyzes the ideas of the book by Klaus Schwab "The Great Reset" about the need to transform the modern world.

At the online conference of the World Economic Forum in May 2020, Klaus Schwab co-co-authored the term "The Great Reset" with Prince Charles. The bottom line is this: the world of capitalism is now going through a serious crisis, and it needs to be transformed. Prince Charles talks about "responsible capitalism." The coronavirus pandemic, with its isolation, offers a unique chance to transform.

In early June 2020, a page called The Great Reset appeared on the World Economic Forum website. The topic caused a furor. Joe Biden, Boris Johnson and Justin Trudeau joined Schwab's pathos in The Great Reset.

With the support of the "Great Transformation" from the camp of globalism, there is no doubt that the notorious "pandemic" is the beginning of the transition to inclusive capitalism. Will there be forces that can resist the globalist-transformers?

Key words: exclusive capitalism, inclusive capitalism, digitalization, transhumanism, green energy, stakeholder capitalism.